საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/8939
08/06/2023

8939-2-08-2-202306081607

სსიპ-გარემოს ეროვნული სააგენტოს

გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობა/რეკონსტრუქციას.

დაგეგმილი საქმიანობა განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველი დანართის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (,,გზშ“) პროცედურას.

იმის გათვალისწინებით, რომ გზშ-ის პირველი ეტაპი არის სკოპინგის პროცედურა, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა-გველეთის საპროექტო მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობა/რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის გათვალისწინებით, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას.

დანართი:1.სტეფანწმინდა-გველეთის საპროექტო მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1. ეგზ. ნაბეჭდი ვერსია;

2. დაგეგმილი პროექტის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები Shp ფაილების სახით და სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1 CD.

პატივისცემით,

სალომე წურწუმია

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge